ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში
საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების წესის შესახებ

1. ეს წესი არეგულირებს საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების მინიჭების საკითხს.

2. საპატიო დოქტორის აკადემიური წოდება შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის ან საქართველოს მოქალაქე მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისათვის ან აკადემიურ საქმიანობაში პროფესიული აღიარებისთვის.

3. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) განსაკუთრებული მნიშვნელობის მეცნიერული მიღწევა;
ბ) აკადემიურ განათლებასა და სამეცნიერო კვლევის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი;
გ) უნივერსიტეტისთვის გაწეული განსაკუთრებული სამსახური.

4. გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების მინიჭების შესახებ, ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე, იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

5. ფაკულტეტის საბჭო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, პირის საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენასთან ერთად, წარუდგენს ამ წესის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას, დოკუმენტაციასა და დასკვნას წოდების მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.

6. საპატიო დოქტორის წოდების მფლობელ პირზე გაიცემა საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების დამადასტურებელი დიპლომი.